საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

სტუდენტთა 83-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის

არქიტექტურის და ურბანისტიკის სექცია

ტრადიცია და თანამედროვეობა არქიტექტურაში

მაგისტრანტი თამარ ადუაშვილი

ხელმძღვანელი ნინო იმნაძე

რა არის ტრადიცია?ტრადიციის არსი, მისი დროსთან კავშირია. ეს არის თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები. ჩვენი აზრით ტრადიცია ეს არის ძალისხმევა, შეინარჩუნო კომუნიკაცია წარსულთან, ოღონდ რაღაცა სუროგატით, სიცოცხლის თანამედროვე ვერსიით, რომელიც ფუნქციონალურად მუშაობს მხოლოდ.ტრადიცია მხოლოდ იმას როდი ნიშნავს, რომ ერთი თაობა ბრმად და ერთგულად ბაძავდეს წინა თაობას. ტრადიცია, უპირველესყოვლისა, გულისხმობს ისტორიის შეგრძნებას, როცა წარსული არა მარტო წარსულად უნდა აღვიქვათ, არამედ თანამედროვეობადაც.

ტრადიცია და თანამედროვეობა… ეს მუდმივი ჭიდილია ძველსა და ახალს შორის, წარსულსა და აწყმოს გზაგასაყარი.ტრადიციისა და თანამედროვეობის პრობლემა,მარადიულია.

არქიტექტურის მკვლევარი მაია დავითაია აღნიშნავს თანამედროვე არქიტექტურაში ტრადიციის გადმოტანის რამდენიმე მეთოდს, რომელთა გააზრებით, შესაძლებელი იქნება ადგილის ისტორიის, არქიტექტურულ-კომპოზიციური თავისებურებების, ამა თუ იმ ნაგებობის ხასიათის გათვალისწინება და თანამედროვეობაში მისი ფაქიზი ჩართვა. ეს მეთოდები შემდეგს გულისხმობს:

1) ტრადიციული, ისტორიული არქიტექტურული ფორმების მოძიება და არქიტექტურულ ნაწარმოებში მათი ჩართვა პირდაპირი გადმოტანით მხოლოდ ახალი ტექნიკისა და თანამედროვე მასალების გამოყენებით, (აქვე მაგალითები)

2) ძველი ისტორიული ფორმებიდან, ცალკეული ფრაგმენტების ამოკვეთა და თანამედროვე კონსტრუქციაში მათი ჩართვა. ეს არის ხელახალი კომბინაცია. ამავე დროს ისტორიული ფორმების პირველადი მნიშვნელობა იკარგება, რადგანაც ახალ კომბინაციაში ის სხვა მნიშვნელობას იძენს. (აქვე მაგალითები)

3) “უხილავი ტრადიციები” – მაგალითად კონკრეტული კულტურის ცხოვრების და აზროვნების წესების, ადათ-წესების, ესთეტიკის გამოვლენის საფუძველზე ისეთი სიმბოლოების შემოტანა, რომლებიც ამ ყოველივეს წარმოაჩენს. ის აბსტრაქტულ შტრიხს შეიცავს. (აქვე მაგალითი)

ამ მიდგომების გათვალისწინებით ჩვენი რეალობიდან შესაძლებელია ტრადიციისადმი დამოკიდებულების რამდენიმე მაგალითის განხილვა და იმის დადგენა თუ რა მეთოდით, რა პროფესიული ხერხებით აღნიშნავენ დღეს ქართველი არქიტექტორები მემკვიდრეობასთან კავშირს.

ქალაქური სახლებისთვის სახასიათო იყო შიდა ეზო და აივნები, რომლებიც სამი მხრიდან ერტყმოდა მას. აივანს ორმაგი დატვირთვა ჰქონდა, პირველი, ის საჭირო იყო ქალაქის კლიმატური პირობებიდან გამომდინარე და მეორე, თავისი არსით უპირისპირდებოდა სხვა ქვეყნების, მაგალითად, აღმოსავლური ქვეყნების ხასიათს და არქიტექტურულ მიდგომას, რომელიც გულისხმობდა “ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა”, თბილისური აივანი პირიქით გამოხატავდა სიმბოლოს გახსნილი ცხოვრების წესისა და ურთიერთობებისა, რომელიც მთელი დატვირთვით აისახებოდა მაშინდელი თბილისის არქიტექტურაში. ორ-სამ სართულზე განვითარებული აივნები ქმნიდა ზონებს, სივრცეებს, რომლებიც იძენდნენ ე.წ “სალაყბოების” ფუნქციასაც, ხოლო სამი მხრიდან აივნებით შემოფარგლული ეზო სხვადასხვა ოჯახის გამაერთიანებლ სივრცედ წარმოჩნდება (მაგ. ტიპურია სახლი გუდიაშვილის მოედანზე).

ტრადიციის პირველი მეთოდის გადმოტანის საინტერესო მაგალითად შეიძლება დასახელდეს შავთელის ქუჩაზე აშენებული სასტუმრო, რომლის არქიტექტურული კომპოზიცია იმეორებს ტრადიციული ქართული სახლის გეგმარებით პრინციპს სამმხრივი აივნები, შიდა ეზო, რომლის ერთ-ერთ კუთხერში მრგვალი კიბე განთავსა, შესასვლელს აფორმებს რკინის აჟურული ჭიშკარი. აივნის სვეტების ფორმა და კაპიტელები მსგავსია გუდიაშვილის მოედანზე განთავსებული სახლის სვეტებისა. ახალი მასალების გამოყენებით მოხერხდა ტრადიციის გადმოტანა.

საქართველოს მაღალმთიანი სოფლები ფერდობებზეა შეფენილი. მათი არქიტექტურული კომპოზიცია ბრწყინვალედ ეწერება გარემოსა და ესადაგება მას. თითოეული რეგიონი ინდივიდუალობით გამოირჩევა და მათთვის დამახასიათებელი კომპოზიციური მიდგომები გააჩნია. ქ.თბილისში, იპოდრომის მიმდებარე ტერიტორიაზე, ფერდობზე უნდა აშენებულიყო ცხოველთა ფიტულების კოლექციონერისთვის მუზეუმი - “მონადირის სოფელი”. მისი არქიტექტურული სახე ასოციაციით შატილის, ომალოსა და უშგულის ფრაგმენტებსა და ქართლის ძველ სოფლებს გვაგონებს. ამგვარი ასოციაციების და „მოგონებების“ შემდეგ იწყება დეტალების, მოცულობათა პროპორციების, ინტერიერის ახლებული ინტერპრეტაცია, რაც ტრადიციის მეორე მეთოდთან შეიძლება დავაკავშიროთ.

ამავე პრინციპს ეფუძნება ქართული ტრადიციული არქიტექტურული ელემენტების - „დარბაზული“ ჭერისა და „დედა ბოძის“ ჩართვა თანამედროვე სტრუქტურაში. თბილისის

ყოფილი რიტუალების სასახლის ინტერიერში ტრადიციებთან კავშირის შეგრძნება ემყარება ასოციაციათა მრავალფეროვნებას, შეგრძნებებს, რაც ვლინდება ერთ-ერთი დარბაზის გადახურვაში.

"დედა ბოძის" გამოყენების მცდელობაა მცხეთაში, სვეტიცხოვლის მახლობლად მდებარე პოსტმოდერნისტულ სტილში გადაწყვეტილ შენობაში, რომელსაც ტრადიციის ციტირების საუკეთესო ნიმუშად ვერ დავასახელებთ. სივრცისადმი დამოკიდებულების ქართული „ტრადიცია" ითხოვს ისტორიულ გარემოსთან, ქალაქგეგმარებით და ლანდშაფტურ სიტუაციასთან მორგების აუცილებლობას, რაც ამ შემთხვევაში გათვალისწინებული არ არის.

მსოფლიო გლობალიზაციის ფონზე სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს მცირე კულტურების იდენთიფიკაციის პრობლემა. მსოფლიო ცივილიზაციასთან ინტეგრირება, ხშირად კულტურული წარსულის სრულ იგნორირებას მოითხოვს.[1;გვ.58] „ეს ერთგვარი პარადოქსია, როგორ გახდე თანამედროვე და ამავე დროს, დაუბრუნდე საწყისს, როგორ ააღორძინო ძველი ცივილიზაცია და გახდე ნაწილი უნივერსალური ცივილიზაციისა".[1] წერდა პოლ რიკორი. კენეტ ფრემტონი საუბრობს კრიტიკულ რეგიონალიზმზე არა როგორც მხოლოდ კლიმატის, კულტურის, მითოსისა და სახალხო რეწვის ტრადიციაზე დაფუძნებული კულტურისა და არქიტექტურის, არამედ წარსულის კრიტიკული გააზრების ერთგვარი ანტიცენტრული კონსესუსის კონცეფციაზე, სწრაფვაზე გარკვეული კულტურული, ეკონომიკრი და პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის.[1]

ხალხურის და თანამედროვეობის ურთიერთობის არსებული გამოცდილების, ცალკეული მცდელობების მიუხედავათ ახალი არქიტექტურა ჯერ ვერ იძენს ნაციონალურ სახეს. მიზეზი გაურკვეველია, რადგან შემოქმედებითობა იდუმალია. დროთა განმავლობაში დამოკიდებულება ხალხური არქიტექტურის მიმართ იცვლებოდ და საბოლოოდ გადაიზარდა ხალხური არქიტექტურული ელემენტების ციტირებაში, ადგილის ფილოსოფიის ღრმა გააზრების მცდელობაში. ახალი „ხალხური" არქიტექტურა, ე. წ. რეგიონალიზმი ვლინდება სხვადასხვა მიდგომებით. ჩვენ შევეცდებით კონკრეტულ მაგალითებზე ჩამოვაყალიბოთ ეს ასპექტები:

- **ადგილობრივი ბუნების და ლანდშაფტის შთაგონებით შექმნილილი ტრადიციული არქიტექტურა.** „არტისტული ყვავილები" (არქ. შ. ბოსტანაშვილი); „ბიზნეს ცენტრი" მთაწმინდაზე. (არქ. ვ. დავითაია) „ალგეთის ბაზილიკა" (არქ. დავითაია); ყოფილი გზების სამინისტრო.

- **ისტორიული „სახეების“ გამოყენება.(დეკორი, ორნამენტი, გამოსახულებები).** ტრადიციული საცხოვრებელი სახლის გადახურვის: „გვირგვინის“ თანამედროვე შენობის ინტერიერში გამოყენება:„რიტუალების სასახლე“; „არკადია“; მცხეთაში, საინფორმაციო ცენტრი დედაბოძის გარეთ გამოტანა და იშხანის კაპიტელების გამეორება ლოჯიის სვეტებზე.
- **ტრადიციული მასალისშემოქმედებითი გააზრება**(სასტუმრო „რუმსი“ – 2014 წ.)
- **თანამედროვე ინჟინრული გადაწყვეტებისთვისტრადიციული ტექნოლოგიის გადამუშავება.**
- **ისტორიული ობიექტის რეკონსტრუქცია და ხელმეორედ ათვისება.**ზემო სვანეთში - მესტიაშიხერგიანის კომპლექსის ფრაგმენტის ადაპტაცია დასასვენებელ ბაზად. პროექტირების პროცესში კვლევის შედეგად მაქსიმალურად აღდგენილი იყოკომპლექსის საერთო სახე. ასეთი მიდგომა ხელს შეუწყობს ძეგლს დიდხანს იცოცხლოს. (არქ. გ. მეტრეველი; ვ. ქორიძე; თ. ხოჯავა; 1984წ.) []
- **ხალხურის თანამედროვე ინტერპრეტაცია.**სოფელი გუდანი ხევსურეთში,გაშენებულია ძველი სოფლის ადგილას. ტრადიცია აქ გააზრებულია სწორი კულტუროლოგიური პოზიციით, მასში არ არის „ნაციონალური სენტიმენტალიზმი“, მიმსგავსება ან კოპირება. აქ ხალხური თანამედროვე ინტერპრეტაციით ისე არის გადმოცემული, რომ ის კონფლიქტში არშედის არც ხევსური ხალხის ტრადიციულ ყოფასთან, და არც გარემო ლანდშაფტთან. რაცვლინდება,როგორც სოფლისსაერთო გეგმარებაში, ისე ცალკეული სახლის დაგეგმრებაში.ახალი გუდანი შედგება ათი სახლისგან, რომელიც ადგილის ტრადიციიდან გამომდინარე კომპაქტურადაა გაშენებული, ორგანულადაა დაკავშირებული ლანდშაფტთან. რთულ რელიეფზეა შეფენილისახლები, ოსტატურად მორგებულია ტრადიციულ ყოფას. საცხოვრებელისახლების ფასადები ხასიათდებიან უბრალო და დახვეწილი ფორმებით, ნაციონალური არქიტექტურის ფაქიზი შეგრძნებით. ერთობ მკაცრი იერს განსაზღვრავს ადგილობრივი ქვა, სიპი. მსგავსია შატილის ახალი დასახლება. რომელიც ძველ შატილის დასახლების მსგავსად ხასიათდება კომპაქტურობით და უწყვეტობით. ხასითით ქმნის ჩვეულ გარემოს ხევსურებისთვის. (არქ. ი. მარგიშვილი, დ. მორბედაძე, ლ. მჭედლიშვილი, ი. დვალი)



- **ადგილის სულის გადმოცემა.**
- **ადგილობრივი ტრადიციული საქმიანობის, ხელობის გამოყენება, როგორცშთაგონების წყარო.**კულტურულ-სავაჭრო ცენტრი სოფ. ხორნაბუჯში. (არქ. ვ. დავითაია, 1991 წ.)
- **„უხმო დიალოგი ტრადიციასა და თანამედროვეობას შორის“**
- **ტრადიციული დასახლების შენარჩუნების და გამოყენების ახალი ფორმა.**

აქ მოყვანილი მაგალითები განსხვავდება ერთმანეთისგან, თუმცა მათ ყველას საფუძვლად უდევთ საერთო პრინციპები, რომელსაც ჩვენ მივაკუთვნებთ ტრადიციულს. საერთო პრინციპებია: ადგილობრივი თავისებურებების და მოთხოვნილებების გათვალისწინება (კლიმატი, ბუნება, ტრადიციის განვითარება და გაგრძელება, ახალი შენობის შესაბამისობა ადგილის რეალობასთან), გლობალური ტენდენციების ადაპტაცია, ისტორიული მემკვიდრეობის შენარჩუნება, ყურადღების გმახვილება დეტალებზე და „ადამიანურ მაშტაბზე“.ეს ის პოზიტიური ნიშნებია, რომელებმაც შესაძლებელია მიგვიყვანოს რეგიონალურ რქიტექტურამდე.

ხალხური ნაციონალრი კულტურის შენარჩუნების პრობლემა მეტად აქტუალურია დღეს საქართველოსთვის, რადგან ის ქართული არქიტექტურის სამეტყველო ენის ნაწილია, მიმართული იდენტობის და თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. ძველის რეგენერაციის და ახალთან ასიმილაციის პროცესი კარგად ჩანს საქართველოს მაღალმთიან რეგიონებში: სვანეთში და თუშეთში.

ეს რეგიონები გამოირჩევიან განსხვავებული და თავისებური ხალხური არქიტექტურით; მკაცრი ბყნებრივ-კლიმატური პირობებით და რთული რელიეფით; მოსახლეობის თავისებური და განსხვავებული ტრადიციებით, ხასიათით და წეს-ჩვეულებებით.

ალ. რობაქიძე, რომელიც განიხილავდა ქართულ ხალხურ საცხოვრისის ტიპოლოგიას აღნიშნავდა:“ ხალხური მშენებელი ერთდროულად ინჟინერ-მშენებელი, ეკონომისტი, ხუროთმძთვარი, ეკოლოგი, ინჟინერ-ტექნოლოგი იყო. მისი ნააზრევის რეალიზაციაში ოპტიმალურადაა შერწყმული უტილიტარული და ესთეტიკური მხარე. ტრადიცია არასოდეს აცალკავებდა ორ საწყისს: ფუნქციურს და მხატვრულს. ბუნებრივია, რომ დღეს მთიელთა ტრადიციული საცხოვრებლების კონფორტის დონე აღარ გვაწყობს, თუმცა მათი მხატვრული სახე ახლაც აღელვებს მნახველს. ახალი უბნებისაგან სულ რაღაც ასიოდე მეტრის დაცილებით ძველი უბნებია, რომლებიც საუკუუნების მანძილზე ჩამოყალიბებული ტრადიციების - ადგილობრივი მშენებლების სიბრძნისა და გამოცდილების - ცოცხალ განსახებებს წარმოადგენენ. კონტრასტი თვალში საცემია. რასაკვირველია, დღეს რადიკალურადაა შეცვლილი სოციალური პირობები, ყოფა, მშენებლობის მეთოდები და ძველებურად აღარ უნდა ვაშენოთ, მაგრამ განა კლიმატიც შეიცვალა? მთაში იგივე ხანგრძლივი და მკაცრი ზამთარია, ზაფხულში ისევ ძველებურად აცხუნებს მზე, მთის სპეციფიკიდან გამომდინარე, იგვე სამეურნეო პირობებია. მაშ, სადღა გაქრა მზისკენ მიმართული ტერასები, აივნები, შიდაეზოები..... მეტიც, გლობალური მასშტაბით თუ შევხედავთ განა დასაშვებია შუა აზიის მცხუნვარე მზის ქვეშ დასავლეთ ევროპის ქალაქთმშენებლობის ხერხებით ოპერირება? საუკუნეების მანძილზე იქმნებოდა და ყალიბდებოდა ქართველ მთიელთა ტრადიციული საცხოვრებლის სტანდარტული ტიპები. მათი განვითარების გზები და ხასიათი პოლიტიკური, ეკონომკური, ესთეტიკური, ტექნიკური თუ სოციალური ფაქტორების რთიერთქმედებით იყო განპირობებული. მთიური დასახლების ფორმებმა დასაცზოვრებლის ტიპებმა გარკვეული ცვლილებეი განიცადეს დროში, თუმცა ეს გარდაქმნები ერთბაშად არ მომხდარა. ყოველ მომდევნო პერიოდს შეჰქონდა გარკვეული თავისებურებანი, რომლებიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების დონით იყო გამოწვეული, ასე იქმნებოდა ცალკეული პერიოდისთვის დამახასიათებელი ძეგლები, რომლებშიც შემდგომ ეტაპებს თავისი კორექტივები შეჰქონდა.“[]

მესტია განსაკუთრებით საინტერესოა ჩვენთვის, რადგან დღეს მან საგრძნოვლად იცვალა სახე. გათანამედროვდა და განახლდა. აქედან გამომდინარე კავშირი ხალხურ არქიტექტურასა და

თანამედროვეობას შორის ძალზე აქტუალურია ამ რეგიონისთვის. არსებული ფოტო მასალით და ვიზუალური დაკვირვებით ვეცდებით გამოვავლინოთ ახალი თუ ძველი ნიშნები, რამდენათ მოხდა აქ ახალი არქიტექტურის ინტეგრაცია არსებულ უნიკალურ გარემოში, და რამდენათ არის გააზრებული ხალხური არქიტექტურა ახლის შექმნსას.

უპირველეს ყოვლისა, რაც ყველაზე თვალში საცემია მესტიამ ახალი მოედანი შეიძინა, რომელიც მანამდე არ არსებობდა. ეს არის ჩაკეტილი სტრუქტურის მქონე, არასწორი ფორმის სარეკრეაციო სივრცე, რომლიც გარშემორტყმულია, როგორც ადრე არსებული კომუნისტური პერიოდის ნაგებობებით ისე სრულიად ახალი შენობა-ნაგებობებით. მოხდა ძველი შენობების რესტავრაცია-რეაბილიტაცია ძირითადათ ხალხური ტრადიციული ელემენტების პირდაპირ გადმოტანით. ახალი შენობები იმეორებენ ხალხური არქიტექტურისთვის დამახასიათებელ კომპოზიციურ წყობას, რაც ძირითადათ ფასადებზე შეინიშნება. ეს ნიშნებია ორქანობიანი სახურავის ფორმა, ასიმეტრიული, სხვადასხვა გეომეტრიული ფორმის ფანჯრის ღიობები, რომელიც გაბნეულია შენობათა ფასადებზე, სტილიზირებული ხის აივნები, ტრადიციული სტილიზებული სვანური კოშკი, რომელიც მოედანის შესასვლელებშიაგანთავსებული და ტრადიციული სამშენებლო მასალებისგამოყენება. შედეგად ჩვენ მივიღეთ სრულებით ახალი, თანამედროვე ყოფისთვის შესაბამისი სივრცე, რომელიც შესრულებულია რეგიონისთვის დამახასიათებელი ელემენტებით. ყურადღება გვინდა გავამახვილოთ ზოგიერთ მათგანზე და მოვიტვანოთ პარალელბი ხალხური არქიტექტურიდან.

სტილიზირებული კოშკი

ამ შენობის ფასადის ორიგონალურ სახეს ქმნის მრგვალი ღიობი, აივანი, თაღედი და ასიმეტრიულად გაბნეული ღიობები, რომელიც ტრადიციული შენობასთან ასოცირდება, თუმცა ეს მხოლოდ სტილიზაციაა.

ასევე ყურადღებას იქცევს მოედანზე რეაბილიტირებული სასტუმროს შენობა. ეს არის სამ სართულიანი, ხისაივნებით მორთულიშენობა, რომლის ზედა ნაწილში, სახურავის ქვეშ მიყვება საინტერესო ნახატი, რომელის არსიც სამოთხის გადმოცემაა. საფასადო მხატვრობა შესრულებულია ქართველი მხატვრის გოგა მაღლაკელიძის მიერ და პირდაპირ ხალხური ტრადიციის ახლებული გააზრებაა. სვანურ ტაძრებს ახასიატებთ საფასადო მხატვრობა, ეს ნამდვილი კულტურული რადიციაადრეს თიტქმის განადგურებულია, მხოლოდ ფრაგმენტებიღაა შემორჩენილიზოგიერთ ტაძარზე. საფასადო მხატვრობა გვხვდება ტრადიციულ საცხოვრებელ სახლებზეც.

ახალი

ძველი

ზოგადად მოედნის მთელ პერიმეტრზე განლაგებული ნაგებობები ზედაპირულად ხალხური არქიტექტურის ელემენტებს იმეორებს. მსგავსი ხერხით არის აგებული მთავარი გზის გასწვრივ აშენებული ახალი საცხოვრებელი სახლები.ასეთი მიდგომით გააზრებულ ხალხური არქიტექტურას თან სდევს ხელოვნურობა და ვერ ეწერება არსებულ კულტურულ ტრადიციაში.

ასეთ უნიკალურ გარემოში ყოველი ახალი მტკინვეულად აღიქმება.

ახალი ნაგებობები მესტიაში.

თუმცა ამახალი ნაგებობებიდან გამოვყოფდით აეროპორტის შენობას. მიუხედავათ მისი უსუსური მაშტაბისა და არორგანულობისა გარემოსთან, მისი სივრცულ-კმოზიციური წყობა ასოცირდება სვანურტრადიციულ საცხოვრისის კომპოზიციურ წყობასთან - ვერტიკალური კოშკი და ჰორიზონტალური მაჩუბი. თუმცა ამ არქიტექტურამ ვერ შეიძინა რეგიონალურის, ნაციონალურის ნიშანი.

ახალი ძალიან ხშირად კონფლიქტშია არსებულთან, თუმცა ახალი ძველის სტილშიც ასევე ვერ იძენს რეგიონალურის ნიშნებს. ეს ეხება დიზაინერულ ელემენტებსაც. „არქიტექტურა - ეს არის ადგილობრივის და გლობალურის სინთეზი, ადგილობრივი არარის აუცილებელიიყოს ტრადიციული“ ამბობს მექსიკელი არქიტექტორი ფერნანდო რომერო. იგი თვლის, რომ ცივილიზაციის ევოლუციმ შეამცირა ლოკალურის როლი. შესაძლოა ეს მოსაზრება სიმართლეა, თუმცა აქ მოყვანილი მაგალითებით თუ ვიმსჯელებთ ამ ნაგებობებს არა ააქვთ გენეტიკური კავშირი ადგილის კოდთან, სულთან, განწყობასთან, გარემოსთან.

ახალი მშენებლობებიდან, ხალხური არქიტექტურის თანამედროვე ინტერპრეტაციის საინტერესო ნიმუშია ახალი სასამართლოს შენობა. (არქიტექტორი უცნობია). აქ საინტერესოა მთავარი ფასადის კომპოზიცია შემდგარი ასიმეტრიულად გაბნეული მცირე ზომის ღიობებით, რომელიც ტრადიციულის შეგრძნებას კიდევ უფრო აძლიერებს, ამას ემატება შემოქმედებითად გააზრებული სტილიზებული ქვის ბურჯები (ბადეში ჩაყრილი ქვებისგან შექმნილია სვეტები).

მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩატარებული სარესტავრაციო სამუშაოები, გულისხმობს ნაგებობების სრულ განახლებას, მაგრამ ისეთი მეთოდიკით ხდება მიდგომა, რომ ძველი

ტექნოლოგიის გამოყენებით ხდება მთავარი ფასეულობის შენარჩუნება და არ იკარგება ის სული რომელიც იგრძნობა თითოეულ დეტალში. მაგალითისთვის შემიძლია მვიყვანო ყავარით გადახურვა, რომელიც აპრობირებული მეთოდი იყო და მიუხედავად თანამედროვე საშუალებებისა ეს სტილი დატოვეს არქიტექტორებმა რითაც შეინარჩუნეს ვიზუალური სახე.

ფოტომასალაში წარმოდგენილია საცხოვრებელი სახლების ხის აივნები და ჩუქურთმების მთელი ნაირსახეობა, რომელიც ასეთი სიფაქიზით იქნა დაცული და განახლებული, გადმოტანილი XXI საუკუნეში და მოწოდებული აბსოლუტურად სწორად, ისე რომ არ იწვევს გაღიზიანებას, ჩამორჩენილობისა და ძველმოდურობის განცდას. ასევეა კედლის მხატვრობა, რომელიც ძალიან ბევრ სახლზე დარჩა როგორც ფერწერული ნიმუშები და მათი ხილვა მხოლოდ აღფრთოვანებას იწვევს. ვინც იცნობს და იცის სვანი ადამიანის ბუნებას, როგორი ჩაკეტილი, მკაცრი ხასიათისა და ხისტი ზნე ჩვეულებების მქონე რეგიონია, მისთვის ასეთი ტიპის ესთეტიკა, სინაზე და მხატვრული აღქმა ცოტა არ იყოს წარმოუდგენელი იქნება მათგან.

გარდა ახალი შენობების აგებისა მოხდა არც ისე შორეულ წარსულში აშენებული შენობების განახლება, მაგალითად მუზეუმი. როგორც ამ ფოტო მასალიდან ჩანს ძველი მუზეუმი საკმაოდ თვითმყობადი, ბრუტალური, გარემოს შესაბამისად მკაცრი იერის მატარებელი იყო. რასაც ვერ ვიტყვით ახალზე.

თუშეთი

თვითმყოფადი და ორიგინალური იერის ხალხური არქიტექტურის მატარებელი. საინტერესოა დღეს რამდენად არის აქ გააზრებული კავშირიხალხურ ტრადიციასადა თანამედროვეობას შორის. თუშეთი იბრძვის იდენტობის შენარჩუნებისთვის. უმეტესი ნაწილი ჯერ ხელუხლებელია. მისი არქიტექტურისთვის დამახასიათებელია ორგანულობა და ჰარმონიულობა გარემოსთან, სპეციფიური სილუეტი, რაც მიღწეულია კომპაქტურობით და დასახლების გააზრება ერთიან ანსამბლად, ადგილობრივი ბუნებრივი მასალის გამოყენება. ეს არის სიპი ქვა, რომელიც გამოიყენება კედლბზე და სახურავებზე, ხის აივნები, რომელიც აუცილებელი ელემენტია და თავისებური, ორიგინალური იერის მატარებელი კომპოზიციუი წყობით ხასიათდება. თუმცა არის საშიშროება დაიკარგოს ეს ჰარმონია. ამიტომ ახლის მშენებლობისას საჭიროა გააზრებული დამოკიდებულება, რათა არ იყოს დაშვებული ის შეცდომები რასაც ადგილი აქვს მესტიაში. არქიტექტორის ოსტატობა მდგომარეობს იმაში, რომ უპირველეს ყოვლისა ანალიზით გამოვლენილი იყოს მდგრადი ტრადიციები და მისი სინთეზით ახალთან არ მოხდეს იდენტურობის დაკარგვა. ერთერთი მეთოდია ნატურიდან დაკვირვებადა ფოტოფიქსაცია, რომელიცსაშუალებას მოგვცემსგავაანალიზოთ დღევანდელი მდგომარეობა, ეს მეთოდი გულისხმობს დღეს თავად მოსახლეობის მიერ, თანამედროვე ყოფაცხოვრებით მოტანილი ცვლილებების შესაბამისი ნიშნების გამოვლენას. ასეთი ანალიზი მოგვცემს პასუხს კითხვაზე რომელია მდგრადი ტრადიცია და საჭიროებს განვითარებას და რომელია უკვე დრო გასული, რომელიც დღეს მხოლოდ ფონის როლს ასრულებს. ეს თანამედროვე ნიშნებია: სახურავის თემა: ძველი და ახალი

ხალხური გადახურვის ჩანაცვლება თანამედროვეთი მასალით და ინოვაციური ტექნოლოგიებით

თანამედროვე სახლი - არის იდენტობის დაკარგვის საშიშროება; თანამედროვე მასალით ჩანაცვლება ხდება თვითნებურად; ძირითადათ გამოიყენება ხის ფიცრები.

თანაარსებობა; იქმნება ფერთა ახალი გამა, თუმცა ჰარმონია დარღვეულია

უნებლიედ, შემთხვევით - კიდევ ერთი „ხალხური“ არქიტექტურა შეიქმნა, ეს არის არქიტექტურა არქიტექტორის გარეშე, სადაც თანამედროვე ყოფა ჯაბნის ხალხურს. ცხოვრება წინ მიდის და ახალ მოთხოვნებს შესაბამისი ფორმა სჭირდება.

ძველი და ახალი:

მოგეხსენებათ, თუშეთი მდებარეობს მაღლა მთებში, გართულებულია კომუნიკაცია ბარსა და მთას შორის, აბსოლუტურად მოუწესრიგებელია ინფრასტრუქტურა (ძველ გზები) აქ ელექტრო ენერგია არ არსებობს. ჩეხეთის სახელმწიფომ გამიჩინა კეთილი ნება და მოსახლეობას უსასყიდლოდ გადასცა მზის ელემენტებზე მომუსავე დანადგარები, რომლებიც თუშური სოფლების სილუეტის შემადგენელ, ჩვეულებრივ, ტრადიციულ ელემენტად გადაიქცა.შედეგად ჩვენ მივიღეთ საინტერესო სინთეზი ინოვაციურ ტექნოლოგიებსა და ხალხურ არქიტექტურას შორის.

ინოვაციები:

ფარდის თემა - დროებითობა, ახალი ფერის შემოტანა

ფერადი აქცენტები

კედლის მხატვრობა

აივანი:

ხის არქიტექტურა თუშეთში

მასალა:

კედელი:

მინაშენი

ქაოსი სივრცეში



წარწერები

დეტალები

ხალხური ტრადიციული ფასეულობები ახალი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა.

ჩვენს მიერ გამოვლენილი ეს ახალი ნიშნები ახალ ყოფასთან დაკავშირებული ელემენტებია, რომელიც ხალხურის ინტერპრეტაციად გვევლინება. ხის აივანი, სიპი ქვით ნაშენი კედლები და სახურავები თუშური „სულის“ და განწყობილების ადექვატია. ამ გამორჩეული ინდივიდუალობის გვერდით ჩანს ის უხილავი ნიშნები, რაც თუშური არქიტექტურის ბუნებას, ერთი ხალხის კუთვნილებას გადმოსცემს. ეს არის სოფელი დოჭუ, ბოჭორნა, კვესელო, დართლო - ერთიანი შეკრული სივრცე, ადგილის „სული“, „ტოპოსი“, ადგილის „კოდი“, რომელიც ხალხს გადააქვს თაობიდან თაბაში და უცვლელია, თუმცა ცხოვრება წინ მიდის, შესაბამისად ახალ პირობებს აყენებს და კორეკტირება შეაქვს არქიტექტურაშიც. აქ შექმნილი ახალი არქიტექტურადროის და განწობის ადექვატური უნდა იყოს. ახალ არქიტექტურულ ფორმებს უნდაჰქონდეთ გენეტიკური კავშირი ადგილთან. სწორედ ესე შეიქმნება რეგიონალური არქიტექტურა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პირობებში. ამ თვალსაზრისით საინტერესოა მაგისტრანტ თორნიკე აბულაძის სადიპლომო პროექტი. ეს პროექტი მაგალითია პატივისცემისა წარსულის არქიტექტურულ-მხატვრული ტრადიციების მიმართ. ახალ არქიტექტურაში საკმაოდ მკაფიოდ შეიგრძნობა ნაციონალური არქიტექტურისთვის დამახასიათებელი ნიშნები, როგორც სივრცულ-მოცულობით გადაწყვეტაში ისე გეგმარებით ხასიათში, მაგალითად ამ პროექტში ავტორი იმეორებს ხევსურული დასახლების სქემას, რაც საკმაოდ ემოციურად არის გადმოცემული.

სვანური და თუშური ხალხური არქიტექტურა ეს არის ჩვენი კულტურული მემკვიდრეობის ყველაზე ფაქიზი ნაწილი, ძეგლები, რომლებიც არიან მნიშვნელოვანი კულტურული აზრის მატარებელი, ფასეულ ტრადიციულიკულტურის. ხალხური კულტურა გვახსენებს პერიოდულად დავიწყებულ ჭეშმარიტებას - სრულყოფილი დღევანდელობა შეიძლება არსებობდეს წარსულის და მომავლის გზაჯვარედინზე.

დასკვნის სახით:

ანალიზმა გვიჩვენა ხალხურის ინტერპრეტაციის და ადაპტაციის სხვადასხვა გზებიახალი მხატვრული რეალობის შესაქმნელად: 1. **სტილიზაცია** (ერთ-ერთი პოპულარულია) იგი მოიცავს ტრადიციული ატრიბუტების გარეგნულ გამოყენებას. ამით მაყურებელი სწრაფად ორიენტირდება კონკრეტულ ეთნოსში და დროში. ეს არის ხილული ნიშნები (ფერი, ორნამენტი, ელემენტები, კომპოზიციური ხერხები), რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებულია დელიკატურად, მინიშნების დონეზე, ან აქტიურად, თავზე მოხვეულად, ზოგჯერ ორგანულად და ზოგჯერ ზედაპირულად, შესაძლოა ირონიულად, მაქსიმალურად მიახლოებული ორიგინალთან. თუმცა სტილიზაცია საკმაოდ პრეტენზიულია და გამოუცდელის ხელში ხალხური ტრადიცია იღუპება, უფასურდება, ხდება იაფფასიანი სამეჯლისო ჩასაცმელი. 2. პირდაპირი **ციტირება**ხალხური მასალის. ხალხური შემოქმედების, მატერიალური კულტურის ფოტოგრაფიული აღდგენა. 3. ყველაზე რთულია **მხატვრული სახის შექმნა,** რომელიც გულისხმობს ხალხური შსემოქმედების ახლებურ გააზრება. 4.**ხალხური მასალის ფაქტურის აღდგენა,** რომელიც ასოცირდება

კულტურულ ტრადიციასთან. 5. **წარწერები** ნაგებობებზე. აქაც გვხვდება სტილიზაცია ან პირდაპირი აღდგენა ძველი დამწერობის. 6. ორნამენტი - ესარის ყველაზე ძლიერი და პოპულარული ხერხი. აქაც გვხვდება ციტირება.

თუმცა, თუ რა დოზით და რა ხერხებით უნდა შეიქმნას ეროვნული არქიტექტურა ცხადია ამის მზა რეცეპტი არ არსებობს, თუმცა მაინც ვეცდებით პუქტებად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი ხედვა ამ საკითხის მიმართ.

1.ხალხური ნაციონალური ტრადიციის გამოყენება თანამედროვე არქიტექტურულ შემოქმედებაში მოითხოვს ღრმა ცოდნას და პატივისცემას ხალხური კულტურის მიმართ.

2.ორიგინალური ნაგებობის შექმნა მოითხოვს შესაბამისი არქიტექტურული ფორმის ძიებას. ასევე უნდა განისაზღვროს რა არის ტრადიციული არიტექტურული ფორმა.

3. იმ ხალხური ტრადიციების გამოვლენა, რომელიც ცოცხალია.

4.იმარქიტექტურული ფორმების გამოვლენა, რომელთა პირდაპირი გადმოტანაა შესაძლებელი.

5.ტრადიციული დასახლებების შენარჩუნების და გამოყენების ახალი ფორმა.

თბილისი 2015